ხაშურის მოამბე

№18 (49) 9 მაისი, ორშაბათი, 2016 წელი

12 მაისი - ხსენება წმიდისა და ყოვლად-ქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა

ანდრია მოციქული, პირველწოდებული ქრისტიანული ტრადიციით, ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგანი. .

XI საუკუნიდან საქართველოში ცნობილი იყო როგორც ქართველებში ქრისტიანობის პირველი მქადაგებელ-გამავრცელებელი. ანდრია მოციქული ორიგენს (II-III საუკუნეები)სკვითების განმანათლებლად ჰყავს გამოყვანილი. VIII-IX საუკუნეებში ბიზანტიურ მწერლობაში ანდრია მოციქული პონტოს მქადაგებლად არის დასახელებული. ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ პირველი ცნობა ნიკიტა პაფლაგონიელს მოეპოვება. მის ნაშრომში ანდრიას წილხვდომილად ჩრდილოეთია აღნიშნული და თვით იგი იბერთა და სავრომატების,ტავრებისა და სკვითების განმანათლებლად იწოდება. ამგვარად, ცნობა ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობაზე ბერძნულ მწერლობაში IX საუკუნის II ნახევარში ჩნდება და საქართველოშიც აქედანაა შემოსული X-XI საუკუნეებში. ამ წყაროზე დაყრდნობით ქართულ ძეგლებში პირველი გარკვეული ცნობა ანდრიას საქართველოში მოღვაწეობის შესახებ გიორგი მთაწმიდელს (XI საუკუნის II ნახევარი) მოეპოვება. ის საქართველოს ეკლესიის დამფუძნებლად ანდრია მოციქულს თვლიდა და ანტიოქიის პატრიარქთან პაექრობის დროს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებას ამ ცნობაზე დამყარებით ამკტიცებდა. შემდგომში, ეფრემ მცირემ ეს ცნობა წმინდა ნინოს მქადაქებლობითი მოღვაწეობის ფაქტს შეუთანხმა და საქართველოში ქრისტიანობის მეორეგზის ქადაგების აუცილებლობას გამნარტება მოუძებნა. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1103) ეფრემის ეს დებულება უცილობელ ჭეშმარიტებად ცნო და დააკანონა.

ანდრია პირველწოდებული იყო იესოს პირველი მოწაფე რომელიც იქნა ამორჩეული (მათ.4:18). ანდრია კაპერნაუმში ცხოვრობდა და თევზაობდა გალილეის ტბაში. გადმოცემის თანახმად ანდრია და იოანე ზებედესი იყვნენ წმინდა იოანე ნათლისმცემელის მოწაფეები.

9 მაისი გამარჯვების დღეა

გილოცავთ, ძვირფასო ვეტერანებო!

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე, თავისი ლამაზი სიმბოლოებით, ერთგვარად, ბოროტების დამარცხების დღეცაა. ესაა დღე, როდესაც სიკეთემ იზეიმა, როდესაც სიმართლემ იდღესასწაულა. ამ ზეიმის, ამ საოცარი დღესასწაულის მთავარი შემოქმედნი თქვენ ხართ, ძვირფასო ვეტერანებო. თქვენ ხართ ის ძალა, რომელმაც გზა არ მისცა ბოროტებას, რომ დედამიწაზე ეზეიმა. ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ თქვენგან და კიდეც ბევრს ვისწავლით. ღაც მთავარია, ჩვენ ვისწავლეთ, როგორ უნდა დავიცვათ სამშობლო და როგორ გავუფრთხილდეთ მას.

გილოცავთ, ამ ულამაზეს დღესასწაულს! სიხარული არ მოგკლებოდეთ თქვენ და თქვენს ოჯახებს.

გიორგი გუჩასპაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

9 მაისის ვეტერანებს!

ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ვულოცავ ომსა და შრომაში გაჭაღარავებულ ჩვენს ვეტერანებს - ამაგდარ, დამსახურებულ ადამიანებს, რომლებმაც პირადად გაიღეს დიდი მსხვერპლი ქვეყნად მშვიდობის დასამკვიდრებლად და მომავალი თაობის ბედნიერებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა ვეტერანებისათვის, მაინც ვთვლი, რომ ჩვენ ყველა ვალში ვართ ამ ადამიანების წინაშე. მათი ვაჟკაცობის და გმირობის ამბავი კარგად უნდა დაიწეროს და გადაეცეს მომავალ თაობას.

ჩვენო ძვირფასო ადამიანებო! მინდა გისურვოთ, პირველ რიგში, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, დიდხანს სიცოცხლე.

ქართველობა ყოველთვის იამაყებს თქვენით!

ყველანი ძალიან გვიყვარხართ!

ვაჟა შუბითიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე

ბაუსკა ხელგაშლილი დახვდა ხაშურს

ლატვიის პატარა, ისტორიული ქალაქი ბაუსკა ზემგალას რეგიონში რიგიდან სამხრეთით 66 კილომეტრში მდებარეობს, მდინარეების მუსასა და

მემელეს შეერთების ადგილას. ქალაქმა თავისი კვალი დატოვა ისტორიაში ლივონიის ომის, ოცდაათწლიანი ომის, ჩრდილოეთის ომისა და ნაპოლეონის ლაშქრობის დროს. ბაუსკა დღეს სრულუფლებიანი ქალაქია. სადაც კულტურისა და ისტორიის მნიშვნელოვან კერებს ბაუსკის ციხესიმაგრე, რუნდალის სასახლე, ბაუსკას მხარეთმცოდნეობისა და ხელოვნების მუზეუმი, სახალხო თეატრი, მართლმადიდებლური ეკლესია წარმოადგენს-ცოტა რამ იმ ქალაქის შესახებ, რომელიც 2010 წლიდან ხაშურთან

(დასასრული II გვერდზე)

სამშობლო თავის გმირებს არ ივიწყებს

„...მეორე მსოფლიო ომის დროს მედდად ვმუშაობდი. სასიკვდილოდ დაჭრილმა ჯარისკაცმა მთხოვა, ქალისათვის არასოდეს მიკოცნია, არ მინდა ისე მოვკვდეო და თუ შეძლებ მაკოცეო, მეც ვკოცნიდი და ისე კვდებოდა...” რადატომღაც ამ მოხუცი ქალბატონის ძალიან საინტერესო და ამაღელვებელი მონათხრობი გამახსენდა, რომელიც ერთი-ორი წლის უკან, რომელიღაც ტელევიზიის სიუჟეტში, სტანდარტული მარშების პარალელურად გაკრთა. დარწმუნებული ვარ, ის ყოველ წელს სევდიანი ღიმილით იხსენებს ამ უნიკალურ ამბავს და საკითხავია, დამთავრდა კი მისთვის 1945 წლის 9 მაისს სამამულო ომი, ომს რომელსაც კონკრეტული თარიღები დამთავრებას ვერ დაუწესებენ და ომი, რომელიც ადვილად არ მთავრდება, არ მთავრდება ამ მოხ-

უცის ქალბატონის გულში, ბატონი უშანგი კვალიაშვილის გულში, რომელსაც სპეციალურად ამ დღისათვის შევხვდით და გავესაუბრეთ და იმ უამრავი ვეტერანის გულში, რომ-

(დასასრული II გვერდზე)

(დასასრული)

ბაუსკა ხელგაშლილი დახვდა ხაშურს

დამეგობრებულ ქალაქთა რიცხვშია. გასულ წელს ბაუსკას მოცეკვავეთა ანსამბლი "ჟანდალსი" ესტუმრა ჩვენ ქალაქს, ხაშურის გარდა, სადაც მათ კონცერტში და სახალხო მსვლელობაში მიიღეს მონაწილეობა, ბორჯომსაც ესტუმრნენ, რამდენიმემ დარჩენა და საქართველოს სხვა კუთხეების ნახვაც ისურვა. ემოციებით დატვირთულნი დაბრუნდნენ საკუთარ ქალაქში და ერთი წლის შემდეგ, ქორეოგრაფიული ანსანბლი "ფრესკა" დაპატიჟეს, რომელმაც "ჟანდალსის" 50 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კონცერტში მიიღო მონაწილეობა. ამგვარი ვიზიტები მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის მეგობრობის, კულტურების გაცვლის, ეკონომიკური თუ სხვა სიახლეების გაცნობა-დაწყებისათვის, რაც მომავალზეა ორიენტირებული, განათლებულ და ევროპულად მოაზროვნე მომავლის შექმნაზე. ვიზიტის მნიშვნელობაზე განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსს კონსტანტინე ფრუიძეს და ანსამბლ "ფრესკას" ხელმძღვანელს ქალბატონ ელენე რატიანს ვესაუბრეთ:

კონსტანტინე ფრუიძე:

–ლატვიის ქალაქი ბაუსკა ხაშურთან დაძმობილებული ქალაქია. ეს მეგობრობა 2010 წლიდან მოდის. გასულ წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ბაუსკას მოცეკვავეთა ჯგუფი "ჟანდალსი" ეწვია ხაშურს, კონცერტში და სახეიმო მსვლელობაში მიიღეს მონაწილეობა. წელს თვითონ დაგვპატიჟეს, საიუბილეო თარიღი იყო ანსამბლის და მიიწვიეს დაძმობილებული მოცეკვავეთა ანსამბლი "ფრესკა". "ფრესკამ" დიდი მოწონება დაიმსახურა, ჩვეული ცეცხლი დაანთეს სცენაზე. ბავშვები ეწვივნენ იქაურ სკოლებსაც, გაიცნეს თანატოლები, ნახეს მათი ცხოვრების წესი, ინტერესები. ვიზიტი 6 დღეს მოიცავდა, 21 ბავშვი იყო და 4 ოფიციალური სტუმარი. ეს ვიზიტი ორი ქვეყნის კულტურების გაცვლის იდეას ემსახურებოდა, რაც მომავალი თაობების დაახლოებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. საინტერესო ქალაქია, ძალიან მოვლილი და სუფთა. განსხვავებული არქიტექტურით და კულტურული ძეგლებით. იურმალა და რიგა დავათვალიერეთ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ძმათა სასაფლაოზე მოვინახულეთ ქართველი ჯარისკაცის, შიშინაშვილი აბიბოს საფლავი, რომელსაც II მსოფლიო ომში ჩადენილი მამაცობისთვის დიდ პატივს მიაგებენ ლატვიელები. აბიბო გერმანელების არმიაში შევარდნილა და თავი აუფეთქებია, რითაც მრავალი ლატვიელის სიცოცხლე გადაურჩენია. კიდევ 3 საფლავია ქართველის, რომელთა საფლავები ყვავილებით შევამკეთ.

ელენე რატიანი:

–ძალიან გაგვიხარდა, როდესაც ლატვიიდან მიწვევა მოგვივიდა. ყოველთვის სასიამოვნოა, სხვა ხალხის ფოლკლორის, კულტურის გაცნობა და შენის გაზიარება, მითუმეტეს, როდესაც ამხელა საგანძურის მფლობელები ვართ. დიდი მონდომებით შევუდექით პროგრამის მზადებას, რომელშიც "ლაზური", "აჭარული", "ქართული", "მთიულური", "ზეკარი", "ქალაქური" ცეკვები შედიოდა. პროგრამა 30 წუთს მოიცავდა. ვერ აგიღწერთ ემოციას, რომელიც მამაყურებლისგან მოდიოდა, მათივე თხოვნით, ჩავატარეთ მასტერკლასები. გამოთქვეს სურვილი 2 კვირით მიგვიწვიონ და რეპერტუარში შეიტანონ ჩვენი ცეკვები. ქალაქ ბაუსკას მერმა აღნიშნა, რომ ჩვენი მონაწილეობის გარეშე ეს კონცერტი ასეთი გრანდიოზული და შთამბეჭდავი არ გამოვიდოდა. სასიამოვნო ექვსი დღე გაატარეს ბავშვებმა, შთაბეჭდილებებითა და ახალი მეგობრებით დაბრუნდნენ ხაშურში.

თ. ჯავახიშვილი

(დასასრული II გვერდზე)

სამშობლო თავის გმირებს არ ივიწყებს

ლებმაც საკუთარი მხრების ხარჯზე მოიტანეს 1945 წლის თუ დღევანდელი 9 მაისი. და განა ომი მხოლოდ ნგრევა იყო, არა, ის დიდებული წუთები, სულ რამოდენიმე წამში ჩატეული რომანიც იყო. ცხონებული ბაბუაჩემიც დამსვამდა ხოლმე და გააჩაღებდა ბაასს სამამულო ომზე, საუბარს კი ყოველთვის ამ ფრაზით იწყებდა: „..1941 წლის 22 მაისს ფაშისტური გერმანია ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირსო...” მაშინ მეგონა, რომ ეს მხოლოდ „კეთილებისა” და „ბოროტების” ჩხუბი იყო, რომელიც კეთილის გამარჯვებით მთავრდებოდა, მაგრამ ცხადია, ომში გამარჯვების მიუხედავად, გამარჯვებულები არ არსებობენ, არც კეთილები და ბოროტები... ომი საწყისშივე, თავისთავად, მარცხია უკვე კაცობრიობისთვის.

ომის ქარცეცხლიანი დღეების გახსენება ეძნელა 92 წლის ომის ვეტერანს უშანგი კვალიაშვილსაც: „ომის საშინელებას ნურავის, ნურცერთ ქვეყანას გამოაცდევინებს ღმერთი, ჩემო პაპიკოო..” და დასძინა, ...„უკვე 90 გადაცილებული ვარ და ვამაყობ ,რომ ვიბრძოდი სამამულო ომში და მშვიდობას გაუფრთხილდით, მშვიდობასო...”

მის ოთახში შესვლისას საბჭოურმა სიმბოლოებმა მიიქცია ყურადღება. ადვილად შეამჩნევდით, სტალინის კულტს ძლიერად მოეკიდა ფეხი როგორც ბატონი უშანგის გულში, ისე ოთახის ორ კედელზე. „ვამაყობ, რომ ვიბრძოდი ამ ომში და გავიმარჯვე მისი სახელითო”.

9 მაისი – ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეა, ვულოცავთ ვეტერანებს და ჩვენს მოქალაქეებს. უფრო მეტად კი ვულოცავთ მშვიდობის დამყარებას, რადგანც ეს იყო ომი, ყველაზე სისხლისმღვრელი და სასტიკი, და რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის ბედზე.

დღესდღეობით ჩვენს რაიონში 21 სამამულო ომის ვეტერან ცხოვრობს, ჩვენ გაგცნობთ ამ ადამიანებს, მათივე სახელების უკვდავსაყოფად.

ბანცაძე გიორგი (ხაშური)
ბასენიანცი გრიგოლი (ხაშური)
ბოჟაძე კოლა (ხაშური)
გელაშვილი გიორგი (ხაშური)
გელაშვილი ნინო (ხაშური)
გონგლაძე შოთა (ხაშური)
თომაძე სამსონი (ხაშური)
კვალიაშვილი უშანგი (ხაშური)
კაპანაძე არჩილი (ხაშური)
მალაციძე ვასილი (ხაშური)
მახარაშვილი ეკატერინე (ხაშური)
ნოზაძე პლატონი (ჩუმათელეთი)
ხაჩიძე ალექსი (სოფ.ურთხვა)
ხაჩიძე ირაკლი (სოფ. ურთხვა)
გრიგალაშვილი შალვა (სათივე)
თათარიშვილი არჩილი (ნარვანი)
ლომიძე ვასილი (ცოცხნარა)
ნოზაძე ერმინე (წაბლოვანა)
შახპარუნოვი ივანე (ალი)
მეხრიშვილი სოგრატი (ვაყა)
შუბითიძე იაშა (წრომი).

თ. ახალკაცი

ა(ა)ი პ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის
დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის

ბრძანება №49

2016 წლის 27 აპრილი

ა (ა) ი პ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურულ ერთეულებში აღსაზრდელთა ჩარიცხვის თაობაზე

ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-8 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2016-2017 სასწავლო წლისათვის ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურულ ერთეულებში აღსაზრდელთა ჩასარიცხად განცხადებების მიღება დაიწყოს 2016 წლის 10მაისს და დასრულდეს 2016 წლის 30 ივნისს;
2. სტრუქტურულ ერთეულებში აღსაზრდელთა ჩარიცხვა მოხდება დაწესებულების მენეჯერთან შეთანხმებით ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის ბრძანებით;
3. აღსაზრდელთა სტრუქტურულ ერთეულებში ჩარიცხვისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვროს დანართი 1-ით;
4. სტრუქტურულ ერთეულებში აღსაზრდელთა ჩარიცხვის პრიორიტეტი განისაზღვროს დანართი 2-ით;
5. ბრძანება აღსასრულებლად და თვალსაჩინო ადგილზე გამოსაკრავად ეცნობოს ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურული ერთეულების მენეჯერებს;
6. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. 15) ერთი თვის განმავლობაში.

დავით ნოზაძე,
ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი დაწესებულებების
–საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი

დანართი 1

აღსაზრდელთა სტრუქტურულ ერთეულებში ჩარიცხვისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია

აღსაზრდელთა სტრუქტურულ ერთეულებში ჩარიცხვისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება სტრუქტურულ ერთეულებში მიღების თაობაზე;

ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (ნოტარიულად დამოწმებული);

გ) ბავშვის ჯამრთელობის ცნობა;

დ) ორი ფოტოსურათი (3/4);

ე) სოციალურად დაუცველის ან დევნილის მოწმობა (თუ განეკუთვნება აღნიშნულ კატეგორიას);

ვ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების შემთხვევაში ფორმა №100 და სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული შეფასების რეკომენდაცია სტრუქტურულ ერთეულში მიღების თაობაზე.

დანართი 2

სტრუქტურულ ერთეულებში აღსაზრდელთა ჩარიცხვის პრიორიტეტები

სტრუქტურულ ერთეულებში აღსაზრდელთა ჩარიცხვის დროს პრიორიტეტი მიენიჭება:

ა) ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ სტრუქტურული ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე;

ბ) სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების შვილებს;

გ) დევნილ და სოციალურად დაუცველ ოჯახებს;

დ) ერთი ოჯახის დედამამიშვილებს;

ე) ოჯახებს, რომლებიც არ ცხოვრობენ, მაგრამ მუშაობენ სტრუქტურული ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ეს ხახლება XXI საუკუნეში?!!! გაარჩეთ, ჩავდივარ!

აუუ, ეს რა წავიკითხე, ეს რა გავიგე?!

რამდენჯერაც ვცადე წერილის დაწერა, იმდენჯერ კალამი ხელიდან გამივარდა, იმდენად ამაზრზენი და შემაძრწუნებელია ფაქტები, რომელზეც ქვემოთ უნდა მოგახსენოთ, რომ უბრალოდ შეუძლებელია, მის მიმართ არ გამოხატო საკუთარი შეხედულება და რეაქცია. რაშია საქმე, ამას ქვემოთ გავიგებთ და შეუძლებელია, მკითხველი არ გააოგნოს, არ ჩააფიქროს და შოკში არ ჩააგდოს.

ამ დღეებში ინტერნეტით გავრცელდა ინფორმაცია თუ როგორ მზადდება ნიადაგი ევროპასა და ამერიკაში, ჰომოსექსუალიზმის მსგავსად, პედოფილიის დაკანონებისათვის. თუმცა, პედოფილია იქით იყოს, ევროპაში როგორც ირკვევა, უარესი სენი ინფანტოფილიის (ძუძუთა ჩვილებისადმი სექსუალური ლტოლვა), სენია გავრცელებული.

ამ ინფორმაციის გამავრცელებლები შესავალშივე განმარტავენ, რომ ამ უსაშინელეს სიბილწეზე მხოლოდ იმიტომ წერენ, რომ ზუსტად ვიცოდეთ რეალურად რა ხდება ევროპასა და ამერიკაში, რომ რეალურად აღვიქვათ მიზანმიმართულად შელამაზებული ე.წ. „ცივილიზებული დასავლეთი“.

მაგალითად, ნორვეგიაში ხელისუფლებამ უკვე ოფიციალურად აღიარა ინფანტოფილიის პრობლემა. ადგილობრივ კრიმინალურ პოლიციაზე დაყრდნობით ნორვეგიის ცენტრალური ტელევიზიას გამოუცხადებია, რომ ნორვეგიაში ინფანტოფილია ყვავისო. ამის დამადასტურებელი ფაქტებიცაა მოყვანილი და ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებული ათასობით ფოტო-ვიდეო გამოსახულება, რომლებზეც ნათლად ჩანს, როგორი ავადმყოფური სექსუალური ვნებები აქვთ ზრდასრულ ქალებსა და მამაკაცებს ძუძუთა ბავშვებისადმი.

მაგალითად, ქალაქ დრამერის მკვიდრმა ქალბატონმა ინტერნეტით გაავრცელა ვიდეო, თუ როგორ ერთობიან მისი ქმარი და მეგობრები ერთი თვის ბავშვთან, თუმცა, ისიც ცნობილია, რომ პოლიციამ ორგიის მონაწილეთა უმრავლესობა დააკავა.

კიდევ ერთი გახმაურებული ორგია დაბა ალვდალში მომხდარა. კერძოდ, ნორვეგიელმა დედამ 3 შვილი ნათესავებსა და მეზობლებს დაუთმო და თან ყველაფერი ეს ვიდეოზე გადაიღო. მოკლედ, ქვეყნის ტელევიზია ღიად აცხადებს, რომ ნორვეგიელ კრიმინალისტთა მონაცემებით დრამენში ერთი თვის გოგონას გაუპატიურება „ერთჯერადი“ შემთხვევა არ არის. თურმე დაახლოებით იგივე ხდება შვედეთში და დანიაში.

ალბათ ჩვენი მკითხველის ნაწილმა იცის, ე.წ. „შვედური ოჯახების“ შესახებ, როცა ქმრები ცოლებს ცვლიან ერთი ღამით, მაგრამ ეს თითქმის არაფერია იმასთან შედარებით, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ახლა უკვე „ნორვეგიულ ოჯახებზე“ ლაპარაკობენ, როდესაც მშობლები საკუთარი გართობისთვის უკვე საკუთარ შვილებს ცვლიან.

წარმოგიდგენიათ, რა ხდება ამ ცივილიზებულ დედამიწაზე?!! ადამიანები ალბათ შეიშალნენ და მხეცებს დაემსგავსნენ, თუმცა, ბოდიში, ამას მხეცებზე ვერ ვიტყვით, რადგან ველურ ბუნებაში მსგავსი რამ – „სექსუალური ძალადობა“ არ არსებობს, მით უმეტეს, ჩვილთა მიმართ, თუმცა აქაც არის ერთი გამონაკლისი – ველურ ბუნებაში მაიმუნია ერთადერთი, ა რომელიც მცირეწლოვან ნაშიერზე ძალადობს. ახლაც არ დაიჯერებთ, რომ ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა?!

საით მიდიხარ შენ, ადამიანო?! მაიმუნისაკენ, საიდანაც მოხვედი? თუ ასეა, კარგი დრო დადგომია ჩვენს მშვენიერ პლანეტას, ეს განკითხვის მოახლოების სინდრომი ხომ არ არის?!

და კიდევ ერთი საშინელების შესახებ. თურმე ინგლისში არსებობს რაღაც ფირმა, რომელიც ტანისამოსს ადამიანის ნატურალური ტყავისგან კერავს.

ეს პროდუქცია ცალობით იკერება და მხოლოდ ძალიან მდიდარი და ექსტრავაგანტური კლიენტების ექსკლუზიური სიამოვნებაა.

ახალი ამბავია ეს? არც ისე. ამ საქმიანობას მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტური გერმანია ეწეოდა.

საით მიდიხარ, შენ ადამიანო?! იმ საუკუნისკენ, როცა ფაშიზმი მძვინვარებდა, როცა ადამიანებს ცოცხლად წვავდნენ და მისი ნარჩენებისგან ათასგვარ ნივთებს ამზადებდნენ!?

სდექ! ადამიანო, წინ გაიხედე მომავლისკენ, იქ არის თითოეული ჩვენგანის სამუშაოც და სამოთხეც თავისი ჯოჯოხეთით.

ხ. სუხიაშვილი

შვილმა დედა შეირთო ცოლადო (?!)

არ მეგონა, ზემოთ დაწერილისა და ნათქვამის შემდეგ, თუ კიდევ რამე გამიკვირდებოდა და შოკში ჩამაგდებდა. ცხოვრება სავსეა უამრავი უცნაური და მოულოდნელი კატაკლიზმებით, მაგრამ ყველა მათგანზე არ გაგიჟდა ადამიანი და ძალიან მწვავედ არ განიცდის, თუმცა გააჩნია იგი ადამიანური ყოფის, ცხოვრების რომელ კუთხეს ეხება: მორალს, ტრადიციას, ადათ-წესს, დაკანონებულ უკანონობას თუ სხვა მსგავს. სათქმელს აქვე ვიტყვი, რომ ისედაც ნერვებმოშლილი ჩვენი მკითხველი გაწელილი თხრობით კიდევ არ გავაღიზიანო. ერთმა ინფორმაციამ სულით-ხორცამდე შემძრა. იმ წერილმა, სათაურად რომ აქვს „დედა შეერთოს ცოლადა!“- ასეთი რამ წერია:

კიმ უისტმა, რომელიც ახლა 51 წლისაა, 33 წლის წინ ანუ 18 წლისამ, აშშ-ში იმშობიარა და უარი თქვა შვილზე და სამშობლოში (ბრიტანეთში) დაბრუნდა.

გავიდა ხანი და ვინმე ბენ ფორდდმა მოძებნა დედა – ეს კიმ უისტი! ჰოდა, დედა-შვილმა ისეთი ძლიერი ლტოლვა იგრძნეს ერთმანეთისადმი, რომ სექსუალური კავშირიც დაამყარეს და აგერ უკვე შეუღლებასაც აპირებენ თურმე.

აღსანიშნავია ის, რომ ბენმა დედაზე რომ დაქორწინებულიყო, ცოლს გაეყარა. „ვიცი, რომ ამაზრზენად გამოვიყურებით საზოგადოების თვალში, მაგრამ როდესაც სიყვარულია და ეს გრძნობა მთლიანად გშთანთქავს, მზად ხარ უარი თქვა ყველაფერზე, იბრძოლოდ მისთვის. ასეთი შანსი ერთხელ გეძლევა ცხოვრებაში და ბენთან ერთად არცერთ შემთხვევაში, არ გავუშვებდი ხელიდან“- განუცხადა დედა- პატარძალმა ცნობილ ბრიტანულ ტაბლოიდს MIZOZ-ს.

და ბოლოს, თურმე ბენი და მისი დედა-მეუღლე სუროგატ დედას ეძებენ შვილის გასაჩენად, რადგან 51 წლის კიმს დედობა უკვე არარ შეუძლია!

ხომ საშინელებაა ყოველივე ეს და მართლაც ასეთი რამეები რომ ესმის ყურებს, იმიტომ არ იზრდება.

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ, შენ მაინც გვითხარი, აგვიხსენი რა ხდება ამ ცოდვილ დედამიწაზე, საით მიდიან ადამიანები, საით გაუწევთ?!

ცნობილია, რომ მგლის ერთი ბუდის ნაშიერი თავის და-ძმაზე არ ჯვარდება, აქ კი, „დემოკრატიის ბუდეში“, ადამიანებმა ათასგვარი ინტრიგებითა და მიზეზებით ლამის ერთმანეთი ამოხოცონ და ამას ვითომ ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით აკეთებენ. შემირცხვენია ასეთი თანასწორობაც და ასეთი ცხოვრებაც, რომელსაც თავს გვახვევენ ადამიანთა უფლებების დაცვის მოტივით.

რ. სუხიაშვილი

C ჰეპატიტი მარცხდება

მოსახლეობისათვის ცნობილია, რომ 2015 წლის აპრილიდან საქართველოში C ჰეპატიტიტის ელიმინაციის პროგრამა დაიწყო. საქარტველოს მთავრობასა და ამერიკულ კომპანია „გილეადს” შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის შემდეგაც ქვეყანაში C ჰეპატიტით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის და პრევენციის პროცესს მიეცა მსვლელობა. პროგრამის პირველი ნახევარი კი უკვე წარმატებით განხორციელდა, და ამჟამად მეორე ეტაპი ხორციელდება.

პაციენტთა შერჩევის კრიტერიუმები შემდეგნაირია: პირველ ადგილზე არიან პირები, რომელთაც ღვიძლის კონპენსირებული ცეროზი აქვთ, ასევე შორსწასული ფიბროზი, ღვიძლის ტრანსპლანტაციის კანდიდატები და სხვა. საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ჩატარებული აქვს კვლევა C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით და მიღებული აქვთ დადებითი პასუხი, შეუძლია პროგრამის ფარგლებში ჩაატაროს მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი სხვა კვლევები. პრევენციასთან ერთად, პროგრამა ითვალისწინებს პაციენტებისათვის ახალი თაობის მედიკამენტების უსასყიდლოდ მიწოდებას და დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსებას.

პროგრამის დაწყების დღიდან დღემდე სულ 700 000-ზე მეტი ადამიანია ჩართული 35 000 ადამიანის მკურნალობა დასრულდა. სწორედ გამოჯანმრთელებულ ადამიანთა სიაში მოხვდა ჩვენ რაიონში მცხოვრები ლაურა მიქაძე, რომელმაც მოგვითხრო მკურნალობის ხანგრძლივ პროცესზე, თუმცა შედეგი ამად ღირს. ლაურა მიქაძე: 2006 წელს დამიდგინდა ეს საშინელი ვირუსი – C ჰეპატიტი. ჩამიტარდა ელასტომეტრიის 10 კვლევა და დამიდგინდა ფიბროზის 3-4 ხარისხი. ამ დროიდან მოყოლებული ვმკურნალობ. ამ პერიოდმა 10 წელს გასტანა. მართალია მკურნალობის პროცესი ეფექტური იყო მაგრამ საბოლოო განკურნება არ ხერხდებოდა, სანამ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში არ მოვხვდი, რის წყალობითაც დღეს ასი პროცენტით ჯანმრთელი ვარ. პროგრამის ფარგლებში, სამი თვის განმავლობაში, ორ კვირაში ერთხელ დავდიოდი ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში, სადაც სრულიად უსასყიდლოდ ვიღებდი ჩემი გამოჯანმრთელებისათვის საჭირო მედიკამენტებს: რიბავერინს, პეგფერონს და შოვალდი-ს. საშუალოდ 80 000-100 000 დოლარამდეა საჭირო ერთი ადამიანის მკურნალობისათვის, ამ პროგრამის წყალობით კი მკურნალობა უფასოდ მომიწია. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს, რომელთა უშუალო ჩართულობით, ხელმძღვანელობით გახდა შესაძლებელი ამ პროექტის განხორციელება, ასევე მადლობა ექიმების გუნდს, ვინც ამ პროგრამაშია ჩართული და განსაკუთრებული მადლობა პროფესორ ელზა ვაშაკიძეს, ვისი დაუღალავი შრომით მივაღწიეთ დღევანდელ შედეგს. პროგრამა მართლაც უნიკალურია, რომლმაც საშუალება მისცა ჩვენ მოქალაქეებს და პირადად მეც მომავლის იმედი გაგვჩენოდა. ეს არის C ჰეპატიტის წინააღმდეგ ბრძოლის უპრეცენდენტო პროექტი და პოზიტიური შედეგებიც სახეზეა, მე დღეს სრულიად განკურნებული ვარ. დიდი მადლობა ყველას ვინც თუნდაც უმნიშვნელო წვლილი შეიტანა ამ დიდებულ საქმეში და პროგრამის ამუშავებაში.

თ. ახალკაცი

გურამ ღურსმანაშვილის "რომაული ამღვლებები"

გასულ ნომერში, ჩვენი კიდევ ერთი წარმატებული ახალგაზრდის გურამ ღურსმანაშვილის შესახებ ვწერდით, რომელმაც გაზეთთან, დაბეგმილ იტალიურ ვოიაჟზე ისაუბრა. სასიამოვნოდ დატვირთული 2 თვიანი პერიოდის შემდეგ გურამი სამშობლოს დაუბრუნდა და რედაქციაშიც გვესტუმრა შთაბეჭდილებებით, ემოციებით, საინტერესო ამბებით დახუნძლული და მზადაა საკუთარი „რომაული არდადეგების" შესახებ თვად გვიამბოს.

„ყველა გზა რომში მიდისო" და გურამიც, მისმა „ცხოვრების ავტოსტოპმა" რომამდე მიიყვანა, სადაც წინ ელოდა ცოდნის შეძენის შესაძლებლობა, უამრავი თავგადასავალი, დაუვიწყარი მოგონებები, საინტერესო ნაცნობობა და თავბრუდამხვევი მოგზაურობა მისი უდიდებულესობა რომის ქუჩებში,

გურამ ღურსმანაშვილი: სტუდენტური პროგრამის „აისეკი" ფარგლებში 2 თვე ვცხოვრობდი რომში და ვასწავლიდი ინგლისურ ენას ნიკოლო კოპერნიკის გიმნაზიაში. ეს არის უმაღლეს სკოლა, სადაც სწავლობენ 16-დან 21-წლამდე ბავშვები და მყავდა დაახლოებით 30 კლასი. გარდა რომისა, ასევე ვიყავი ფლორენციაში, მილანში, ვატიკანში და მიღებული ემოციები, ალბათ სიცოცხლის ბოლომდე გამყვება.

- გურამ, მოგვიყევი სწავლის პროცესის და იქაური სტუდენტების შესახებ?

– სასწავლო სისტემა სრულიად განსხვავებულია ქართული სასწავლო პროცესისგან. იმ სკოლაში, სადაც ვასწავლიდი იყო სამი მიმართულება: ჰუმანიტარული, ეკონომიკური და ტექნიკური, შესაბამისად, როდესაც მოსწავლე ამთავრებს კოლეჯს, უკვე აქვს საკუთარი სპეციალობა და შეუძლია აღარ ჩააბაროს უმაღლეს სასწავლებელში და მუშაობა განაგრძოს უკვე არჩეული პროფესიით. განსხვავებით ქართველებისაგან, არც დიპლომის ქონის აუცილებლობას საჭიროებენ. თუმცა, არც ქართველ სტუდენტებზე ნიჭიერები არ არიან და სწავლითაც ჩვეულებრივად სწავლობენ, სხვათაშორის, ქართველმა სტუდენტებმა და თუნდაც მოსწავლეებმა ინგლისური ენა უფრო კარგად იციან, ვიდრე იტალიელებმა. სხვათაშორის, იტალიაში სწავლობენ მხოლოდ იმას, რაც სჭირდებათ. ჩემი აზრით, ეს კარგიცაა – სტუდენტი ერთ კონკრეტულ პროფილზე ახდენს მობილიზებას და იღრმავებს პროფესიონალიზმის დონეს.

- ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რამ მოახდინა შენი იტალიაში ყოფნის დროს?

– ქალაქი მართლაც მარადიულია. თითოეული ქუჩა, ძეგლი თუ ქვა საკუთარ ისტორიულ წარსულს ინახავს. შთაბეჭდილებების მთელი კასკადი მვიღე. განსაკუთრებულად კი მომხიბლა წმინდა პეტრე ტაძარმა და მუზეუმმა ვატიკანში, და საერთოდ, ვატიკანი საოცრებაა. ფლორენციაში გამაოცა უფიცის გალერეამ, სადაც მიქელანჯელოს, და ვინჩის, ბოტიჩელის და სხვა რენესანსის ხანის წარმომადგენელთა ფერწერული ნამუშევრებია, ასევე, დანტეს, ბოკაჩოს, პეტრარკას შედევრები. მილანში კი უდიდესი შთაბეჭდილება დამიტოვა დუომოს კათედრალმა, რომელიც სიდიდით მეორე კათედრალია და, რა თქმა უნდა, სანსიროს საფეხბურთო მოედანმა. გამომდინარე იქიდან, რომ კახა კალაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს იტალიაში, ჩემს სტუდენტებს საქართველოს კახათი ვაცნობდი. კახა ყველა მოსწავლემ იცოდა, ვისაც ვასწავლიდი. საერთოდ, იტალიაში კულტია ფეხბურთის და ჭამის.

- ამბობენ რომ იტალიელები ძალიან გავნან ქართველებს ტემპერამენტით და მენტალობით...

– დიახ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ განსხვავებაც ბევრია. ხმაურიანი ხალხი არიან უყვართ ხმაური და ქუჩაში ყოველთვის ღიმილით დადიან. მაინცდამაინც არ უყვართ კანონთან მორჩილება. მიუხედავად იმისა, რომ თბილი და გულღია ხალხი არიან, თვე შეიძლება გავიდეს ისე, რომ ურთიერთობა არ ჰქონდეთ მეზობლებთან და ნათესავებთან. მაგალითად, ოჯახის უფროსს, სადაც მე ვცხოვრობდი, ამ ხნის მანძილზე, სამუშაო ეწყებოდა დილის რვა საათზე. „ლანჩზე" ცოტახნით შემოირბენდა შუადღით და სამუშაო დღეს ამთავრებდა დაახლოებით შვიდ საათზე.

მას ერჩივნა, რომ საღამო ოჯახთან ერთად გაეტარებინა და განტვირთულიყო. ღვინოც ჩვენსავით ძალიან უყვართ, თუმცა, სამელის მოხმარების დოზებშია ძირითადი განსხვავება. ერთი ისტორია მახსენდება, ოჯახში, სადაც ვცხოვრობდი, პირველად რომ მივედი, ქართული შინაური ღვინო ვაჩუქე. ჩემი იქ ყოფნის პერიოდში გარდაეცვალათ ოჯახის წევრი, დაკრძალვაზე ჩემი ღვინით გაუმასპინძლდნენ სტუმრებს და ძალიან მოეწონათ, დიდი მადლობაც გადამიხადეს, თუმცა ღვინო სულ ერთი ლიტრი იყო. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იმ ერთი ლიტრიდან ღვინო კიდევ დარჩათ. ჩვენთან ქელეხში კი, რა თქმა უნდა, ყველაფერი სხვაგვარადაა.

- რა განსაკუთრებული ტრადიციები აქვთ იტალიაში? იტალიურ სამზარეულოზეც გვიამბე..

– სუფრასთან განსაკუთრებული ტრადიცია აქვთ. მაგალითად, სანამ მაგიდასთან ოჯახის ყველა წევრი არ შეიკრიბება, ჭამას არ იწყებენ. ყველა საკვებს საზღვრავენ კალორიულობით, ცდილობენ, იკვებონ ჯანსაღად. იტალიაში ძალიან გაგიჭირდებათ იპოვოთ ჭარბწონიანი ადამიანი. რაც შეეხება სამზარეულოს, მისი გემოს სიმდიდრით და მავალფეროვნებით, სამართლიანადაა აღიარებული მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ.

- იტალიური სამზარეულოდან ყველაზე მეტად რა კერძები მოგეწონა და ქართული სამზარეულო თუ მოგენატრა იქ ყოფნის პერიოდში?

– ქართულ სამზარეულოზე მქონდა წვდომა, მაგრამ იტალიური სამზარეულო იმდენად მომეწონა, ძალიან არ მომნატრებია. განსაკუთრებით მომეწონა „პორკეტა", ღორის ხორცი სპეციალური სანელებლებით შეზავებული, მოცარელა – უგემრიელესი კამეჩის ყველი და, რა თქმა უნდა, უამრავი სახეობის პიცა.

-კვალიფიციური კადრი ხარ, გამოცდილი და განათლებული, რას გეგმავ მომავალში?

– სასულიერო სემინარიაში ბაკალავრიატის მეოთხე კურსზე ვარ, რამდენიმე თვეში ვამთავრებ. ვფიქრობ სწავლის გაგრძელებას უცხოეთში და ჩემი სამომავალი გეგმები საქართველოს არ უკავშირდება. მაქვს რამდენიმე პერსპექტიული ვარიანტი ევროპაში სწავლისა და ალბათ რომელიმეს ავირჩევ... ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს.

ისევ და ისევ წარმატებას ვუსურვებ გურამს და განვმეორდები, რომ ის ჩვენი რაიონის წარმომადგენელია და მისი ასეთი წინსვლა ორმაგად საამაყოა ჩვენთვის.

თ. ახალკაცი

„ქალთა ასოციაცია" ნაადრევი ქორწინების პრობლემებზე მსჯელობს

ამ დღეებში "ქალთა ასოციაციის" ხაშურის ფილიალის ორგანიზებით ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთის დ. ყიფიანის სახელობის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბში გაიმართა დისკუსია თემაზე "ნაადრევი ქორწინება და სკოლის მიტოვება", სადაც თანამონაწილეები იყვნენ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი და ხაშურის რაონში მდებარე მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელები და მისი ლიდერი ლილი სტეფანიანი. დისკუსიის დასაწყისში მოკლე რეზიუმე გააკეთა "ქალთა ასოციაციის" ხაშურის ფილიალის ხელმძღვანელმა ნატალია ღონღაძემ, რის შემდეგადაც დისკუსიის მონაწილეებმა ნახეს ორი სხვადასხვა ვიდეორგოლი, რომელიც შეეხებოდა ნაადრევ ქორწინებას. ვიდეოს ნახვის შემდეგ გაიმართა დისკუსია. მონაწილეები აქტიურად ჩაერთვენ დისკუსიის თემაზე, მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა ინეზა ელისაშვილმა და სკოლის სამოქალაქო კლუბის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ნაილი მდინარიძემ. დასასრულს, დისკუსიის მონაწილეები ქალბატონმა ინეზა ელისაშვილმა და ნატალია ღონღაძემ სერთიფიკატებით დააჯილდოვა. დაიგეგმა მომავალი ღონისძიება, რომელიც ჩატარდება ხაშურის რაიონში მდებარე მცირე საოჯახო ტიპის სახლში. დისკუსიის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს ქვიშხეთის დ. ყიფიანის სახელობის საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ მანანა ბასიაშვილს მასპინძლობისათვის.

ღმერთმა აცხონოს ვენორი ძვაჩახია, კარგი მეცნიერი და შესანიშნავი მამულიშვილი იყო: პრინციპული და მართალი ყველასთან – დიდთანაც და პატარასთანაც. ნიჭიერი ფილოსოფოსი, თვით დიდი შალვა ნუცუბიძის საყვარელი მოწაფე, სოციოლოგიური კვლევის პიონერი გახდა საქართველოში. სწორედ მან ჩამოაყალიბა სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პერსპექტიული კადრებიც შემოიკრიბა გარშემო. მახსოვს, რა იმედით შესცქეროდა მას, იმ დროს საქართველოს ცკ-ის პირველ მდივნადახლადარჩეული, „ყოვლისშემძლე“ ედუარდ შევარდნაძე. აქტივის ყველა რესპუბლიკურ შეკრებაზე სწორედ მას იწვევდა ტრიბუნასთან იმ იმედით, რომ აი, ახლა დადებს სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებს და აი, ახლაო და ჩემი „რეფორმატორული“ ღონისძიებების შინაარსსა და მიმართულებებს მეცნიერულად „გააპრავებსო“. აჰა! არაფერი გეტკინოთ! ერთ-ერთ წარმომადგენლობით შეკრებაზე, ბატონმა ვენორიმ ისეთი კვლევის შედეგები წარმოადგინა, რომ მტელი მაშინდელი პარტიულ-პროპაგანდისტული ბლეფი თავდაყირა დააყენა.

იმის შემდეგ, ვენორი ძვაჩახიას მჯიდროდ მიუხურეს ცკ-ის კარები, თუმცა, მას თავისი პრინციპებისათვის არ უღალატია და საქართველოს „მბრძანებლის“ კეთილგანწყობის მოსაპოვებლად შეკვეთილი „მეცნიერული“ შედეგები არ შემოუსაღებია.

მერე და მერე, იგივე შევარდნაძეც და სხვებიც იძულებულნი იყვნენ, ასე თუ ისე, ანგარიში გაეწიათ ობიექტური რეალობისთვის, რის სურათსაც ქართველი სოციოლოგები ხატავდნენ.

ჩვენს დროში კი რა მოხდა, ნეტავი? ქართველი სოციოლოგები გადაშენდნენ თუ გამო...ლევდნენ, ზესტაფონელებისა თუ ზუგდიდელების გუნება-განწყობილების გამოსაკვლევად შორეული უცხოეთიდან იწვევენ სოციოლოგებს. ვინ დაიჯერებს, რომ ორი ოკეანის გაღმიდან ჩამოსული კაცი უკეთ ჩასწვდება გორელისა თუ ქუთაისელის სულსა და გულს, ვიდრე თბილისისა თუ სენაკის მკვიდრი ქართველი! არც არავის სჯერა, მაგრამ იმ უცხოელი ჩიტების (ანუ ძველქართულად სირების) დამქირავებელმა აქაურმა ასოებმა (არასამთავრობო ორგანიზაციებმა) თუ პარტიულმა ბოზებმა (აუჰ, ბოსებმა!) კარგად იციან პროპაგანდის თავისებურებანი, მით უფრო, ჩვენს ეროვნულ ხასიათთან მიმართებაში: ჩვენიანთა უმრავლესობას ხომ უცხოელის ნათქვამი სიბრიყვე პიტალო სიბრძნედ ეჩვენება, ასე იყო წინათ და ასეა ახლაც. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, - ქართველის ნათქვამია ეს...

იმ უცხოელების დამქირავებლებიც ხომ ქართველები არიან და გულწრფელად სჯერათ, ალბათ, ოკეანისგაღმელი ექსპერტ-მკვლევარებისაო,–იტყვის ვინმე გულუბრყვილო მკითხველი. არა, ჩერმო ბატონო, არა! არ არიან ისინი ქართველები! უცხოეთიდან დაფინანსებულ-ნაყიდი ორგანიზაციები და პარტიები, რომლებიც იმ უცხოელ პატრონთა დაკვეთებს ასრულებენ, სწორედ საქართველოს მტრებითაა გაძეძგილი. გვარები კი აქვთ ქართული, მაგრამ „წვეთი სისხლი არ არის მათში მართლა ქართული, ძაფი ნერვი არ არის მათში მამულიშვილის“ (მაპატიოს გალაკტიონის სულმა, მისი გენიალური სტრიქონის ამგვარი პერიფრაზირებისათვის). მაგალითად, შეხედეთ ერთი, ტელეეკრანზე გახშირებული მუსიკალური კონკურსების ჟიურის წევრებს, ვინ არიან და რა ჯიშისანი არიან, თუ მეტყვის ვინმე! აბა, ქართველები, ან რომელიმე სხვა ერის შვილები თუ არიან, მთელი ამსიგრძე მუსიკალური კონკურსის განმავლობაში, სადაც ერთი ქართული სიმღერაც კი არ გაჟღერდება და მხოლოდ უცხოურ ენაზეა წივილ-კივილი (ჰო, ჰო, წივილ-კივილი! აბა, პავაროტის უცხოურად ნამღერზე ვინ იტყვის წივილ-კივილიაო, ნეტავი?), კონკურსების ჟიურის წევრებს სულ მუდამ გაბრწყინებული სახეები რატომ აქვთ და ყოველ მეორე მოზარდსა თუ ახალგაზრდა მოკივილეს გენიალური ნიჭის ხელოვანის მომავალს რატომ უწინასწარმეტყველებენ? იმიტომ, რომ თავიანთი მამა-მარჩენალების დავალებას ასრულებენ,. რა დავალებაა ასეთი? რა და, ჯერ ერთი, ქართველებს (მომავალ თაობას, ცხადია!) უნდა ჩააგონონ, რომ ქართული ენა სასიმღეროდ მაინც-დამაინც არ გამოდგება და, მეორე, პრაქტიკულად, უნდა დაგვისაბუთონ ნაცბანდის მმართველობის პერიოდში შემოგდებულ-დამკვიდრებული სიბრძნე: ინგლისური ენის ცოდნის გარეშე წარმატებული ადამიანი ვერ იქნებიო.

თინეიჯერების მოტყუება-გადაბირებას რა უნდა! ახერხებენ კიდევაც ამას ეს ქართული გვარების მქონე არაქართველები! არა და, რატომ ვერ იქნება წარმატებული მომღერალი, ინგლისური სიმღერის ცოდნის გარეშე? ენრიკო კარუზოს ერთი ინგლისური სიმღერაც არ უმღერია, მარიო ლანცა ამერიკაში ცხოვრობდა, მაგრამ მხოლოდ იტალიურად მღერო-და, ამიტომ წარმატებული ვერ იყო, ხომ? ჰამლეტ გონაშვილს ქართულის გარდა არაფერი უმღერია, მაგრამ ამერიკაში ფეხზე მდგომი დარბაზი უსმენდა! ამგვარ დასკვნამდე მისვლას ვინ დააცლის ჩვენს მოზარდებს. აგერ არიან ჩასაფრებულები მუსიკის „მტრები“ – გვარამია ნიკა თუ გაბუნია გიორგი, ნიჟარაძე სოფო თუ ბერიძე მარინა და მათი მოძმენი. მტრები არიან თუ კიტრები, არ ვიცი (უფრო კიტრები მგონია!), მაგრამ ბრიყვ თინეიჯერებს კი ხიბლავენ.

ამ ბოლო ხანებში ეს ჩვენებური კიტრები სულ გათავხედნენ ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით პოლიტიკაში. აგერ, ახლახანს, სააკაშვილის მეხოტბე და გულდამწვარი გულშემატკივარი NDI მოუწვევიათ მგონი, იმის გამოსაკვლევად, იმერლების რამდენ პროცენტს უყვარს ამოლესილი ლობიო და რამდენს კირკაჟი. იმასაც იკვლევენ, თურმე, კირკაჟი ლობიოთი გამაძღარს, რა მუსიკალური უნარები უვითარდებათ. ამ საქმეში კი ენ-დი-აის ოფისის დირექტორს – ლორას, კაი გვარიან გასამრჯელოს უხდიან. რას იხარჯებოდნენ ნეტავი? ეთხოვათ, აგერ ჩემი მეზობლის ბიკენტი ეძგვერაძისთვის და არა მარტო სიტყვიერად აუხსნიდა, არამედ პრაქტიკულადაც მოასმენინებდა კიდეც ლობიონაჭამი კაცის მუსიკალურ უვერტიურას.

ეს, ისე, მკითხველის გასამხიარულებლად ვიხუმრე, თორემ მართლა ლობიოს ჭამა-მონელების პრობლემის გამოსაკვლევად კი არ ჩამოფრენილა ჩვენთან სააკაშვილის მოშინაურებული სირი (ანუ ჩიტი!) NDI. იმ უცხოელ სირსაც და მის აქაურ დამკვეთსაც სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ, ქართველები ლობიოს ჭამენ თუ ბოღლიწოს.მათ უფრო

ვინ დაიჯერებს, რომ ორი ოკეანის გაღმიდან ჩამოსული კაცი უკეთ ჩასწვდება გორელისა თუ ქუთაისელის სულსა და გულს, ვიდრე თბილისისა თუ სენაკის მკვიდრი ქართველი! არც არავის სჯერა, მაგრამ იმ უცხოელი ჩიტების (ანუ ძველქართულად სირების) დამქირავებელმა აქაურმა ასოებმა (არასამთავრობო ორგანიზაციებმა) თუ პარტიულმა ბოზებმა (აუჰ, ბოსებმა!) კარგად იციან პროპაგანდის თავისებურებანი, მით უფრო, ჩვენს ეროვნულ ხასიათთან მიმართებაში: ჩვენიანთა უმრავლესობას ხომ უცხოელის ნათქვამი სიბრიყვე პიტალო სიბრძნედ ეჩვენება, ასე იყო წინათ და ასეა ახლაც. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, - ქართველის ნათქვამია ეს...

სათავისოდ მნიშვნელოვანი საქმე აქვთ გადასაწყვეტი: ჩვენ ხალხს უნდა ჩააგონონ, ვინ მოსწონდეთ და ვინ არა. ჩვენ ხომ ოკეანის გაღმიდან გვინიშნავენ მტრებსაც და მოყვარეებსაც. მათი ჭკუით, ჩვენ თვითონ ვერასგზით მივხვდებით, რა გვინდა და რა-არა. გონებრივად განუვითარებლები ვართ და იმიტომ. და ჩვენს „განვითარებას“ ცდილობენ უცხოეთიდან ჩამოფრენილი სირები (ჩიტები, რა!) და მადლობის თქმასაც გვაიძულებენ.

როგორც ჩანს, ამ შობელძაღლ NDI-ს კარგად ახსოვს ალენ დალასის დარიგება, პროპაგანდის ამერიკულ სამსახურს რომ მისცა ერთ დროს: ხალხმა რომ დაგიჯეროთ, ჯერ სიმართლე უთხარით, მერე მიაყოლეთ ის, რაც თქვენ გინდათო. ჰო, და ეს ჩემანალა NDI რომ აცხადებს, გამოკვლევებით დავადგინეთ (რა გამოკვლევა ამას უნდოდა!), ნაცბანდისა და მისი არარაობა ლიდერის დავით ბაქრაძის რეიტინგი უზომოდ გაიზარდაო, ესეც ასეა. ჩემი თანამემამულეების ერთი ბრიყვი ნაწილის გონებაში ხომ ჩააგდო ეჭვის მარცვალი! ესეც საქმეა.

ისე კი, თუ ქართველების 24 პროცენტს დავით ბაქრაძე მოსწონს როგორც პოლიტიკოსი და მის მხარდაჭერას აპირებს, მაშინ იმ 24 პროცენტის... ჰო, რა, როგორც არის!

რა გინდა, რა! ამ ხელისუფლებამ მთელი ტელესივრცე ნაცბანდის პროპაგანდას დაუთმო. „ცრუსთავი-2“ (რუსლან რუსიას დარქმეული სახელია!) ხომ პიტალო ნაცური ტელეარხია, თავისი გაურკვეველი წარმომავლობისა და ორიენტაციის დირექტორთან ერთად. ახლა ამ ნაცბანდის რუპორმა ხელზე დაიხვია მათი გულდათუთქული გულშემატკივარ NDI-ის „კვლევის“ შედეგები და მიდი... მათთვის სააკაშვილი და მისი ბანდა უკვე ხელისუფლების სათავეში არიან. იმიტომ იქცევიან ასე დიდგულად!

ქართული ტელეარხების დიდი უმრავლესობა NDI-სა და IRI-ს „მეცნიერული კვლევების“ პროპაგანდისტულ პრაქტიკაში რეალიზაციას ერთგულად ეწევიან,მაგრამ მათში შხამიანი არომატით, მაინც, „რუსთავი-2“ (ანუ „ცრუსთავი-2“!) გამოირჩევა და ტვინისათვის ფრიად სახიფათოა მისი ცქერა. სამწუხაროდ,ყველამ როდი იცის ეს. რატომ ხარ „რუსთავი-2“-ის მაყურებელი,ის ხომ „ცრუსთავი-2“-, მეთქი ,ვკითხე ერთ,თავისთავად წესიერ კაცს. მართალი ხარ, მაგრამ სხვებზე უფრო პროფესიონალური ტელევიზიააა. ვაი, ჩვენს პატრონს! პროფესიონალურად რომ გვაბრუებს და გვწამლავს, გვსიამოვნებს, არა? გერმანელი ფილოსოფოსის ოსვალდ შპენგლერისა არ იყოს, რომ თქვა: „ევროპა კვდება,ამას აკეთებს ნებაყოფლობით და თანაც სიამოვნებას განიცდის“-ო, ისეა ბევრი ადამიანის, ქვეყნისა თუ მთელი კონტინენტის საქმე. გაბრუებული და გამოთაყვანებული კონტინენტი იქნება, ცალკეული ქვეყანა თუ კერძო კაცი, ერთნაირ სისულელეს აკეთებს და თავის მომწამვლელსა და გამომთაყვანებელს უვარდება ხახაში, აი, ჩვენი ზოგიერთი გამოთაყვანებული თანამემამულის მსგავსად, NDI-სა, IRI-სა და „ცრუსთავი-2“ რომ უვარდებიან მყრალ ხახაში!

დღესაც რა თანამედროვედ ჟღერს დიდი ილიას გულისტკივილით ნათქვამი: „ვაი, რომ ახლაც ხვრინავს ჩვენი ერი! საკუთარი ხვრინვა თუ გაგვაღვიძებს, თორემ, უფლის გარდა, სხვა საშველი არ ჩანს,მაგრამ ვართ კი უფლის წყალობის ღირსნი? ამ ნახევარი საუკუნის წინათ მუხრან მაჭავარიანი გულჯავრიანად წერდა: „ამას, იმას რომ ხელში ხმალი უნდა გვეჭიროს, ჩვენ ხმლისა წილ ჯიხვისანი გვიჭირავს რქანი, ვინ, ვინ შეგვინდობს, ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, ერთი მითხარი!“ ის დრო, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, ახლა სანატრელი გახდა. ჯიხვის რქებით საქართველოს სადღეგრძელოს სვამდნენ მაშინდელი ბედოვლათი ქართველები. ახლა კი რა უჭირავთ ხელში დაბნელების სკოლების კურსდამთავრებულებსა და ანტიკულტურის სამინისტროს ძალისხმევით გადემოკრატებულ ჩვენს თანამემამულეებს, ნეტავი? სადღეგრძელო მაინც თუ იციან რა არის? საკითხავი ახლა ეს არის!

აი, ასეა საქმე!

ასეთ პირობებში არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ NDI ან IRI დაბეჯითებით დაგვიწყებენ იმის მტკიცებას, რომ მეგრელებს ბოღლიწო ურჩევნიათ ელარჯს, ხოლო მოხევეები დაძმარულ ეკალას აძლევენ უპირატესობას ხინკალთან შედარებით. ამიტომ არჩევანზე თუ მიდგა საქმე, ისინი იმას აირჩევენ, ცხადია, რაც მოსწონთ. მიდი და შეედავე თუ გინდა. ტეხასელმა ლორამ და კალიფორნიელმა ნორამ უკეთ არ იციან, ჩვენ რა გვინდა და რა გვიყვარს?

ბოლოს და ბოლოს, გამოღვიძება თუ გვეღირსა, სულ ცალ ფეხზე დავიკიდებთ NDI-საც, IRI-საც, მათ პროგნოზებსაც და იმათაც, ვინც მათ შეკვეთებს აძლევს და გარეშე მტერთან ერთად თვითონაც ხეირობს. აი, მაშინ ასრულდება ქართული ოცნება.

ზურაბ ცუცქირიძე

ნინი მალხაზიშვილი – „X ფაქტორის“ ხაშურელი ფავორიტი

ერთი პატარა გოგო მინდა გაგაცნოთ, სულ 13 წლის, ხაშურის II საჯარო სკოლის მოსწავლე. ალბათ, ბევრი თქვენგანი ჩემზე უკეთ იცნობთ, მეგობრობთ, ნათესაობთ, ან, უბრალოდ, იმ კეთილისმსურველთა რიცხვში ხართ, ყოველ ორშაბათს, გულ და თვალანთებული რომ ელოდება ტელევიზორთან. დიახ, ნინი მალხაზიშვილზე მოგახსენებთ, X ფაქტორის ხაშურელ მონაწილეზე. არ დაეზარა, არ შეუშინდა დიდი ქალაქის დიდ სცენას და ჟიურიმაც დაუფასა ნიჭი და გამბედაობა. ნინი უკვე 4 სკამზე თავის ადგილს ღირსეულად იკავებს. იწყება ბრძოლა, ნიჭიერებასა და

გამართლებას შორის, თუ ცოტას მივეხმარებით, თუ ცოტა მეტნი ვიქნებით, უფრო დიდ სიხარულს და ემოციას მივიღებთ.

–ნინი, პირველ რიგში, მინდა, მოგილოცო წარმატება, რომელსაც შენთან ერთად მთელი ხაშური იზიარებს. მაინტერესებს, საიდან დაიწყე, ოჯახში მღერის ვინმე?

–ბავშვობიდან ვმღერი, ჩემს გარდა ოჯახში არავინ მღერის, დედას აქვს სმენა, მაგრამ მხოლოდ ოჯახურ გარემოში მღერის, მანვე მიმიყვანა ლიანა ტატიშვილთან, დავამთავრე ექვსწლედი ფორტეპიანოს განხრით.

გ ა ს ულ წელს კლასელებთან ერთად ვიყავი რესტორანში, სკოლის დაწყებას აღვნიშნავდი, იქ ვიმღერე. აღმოჩნდა, რომ ამავე რესტორანში ანი სირაძე, სოფო საჟინიანი, მარიამ კუთხაშვილი და სხვა მომღერლები იყვნენ. როგორც აღმოჩნდა, მოეწონათ ჩემი სიმღერა, იკითხეს ვინ ვიყავი-შემაქეს. გივი ლიჩელმა თავის სტუდიაში სწავლა შემომთავაზა სრულიად უფასოდ და სექტემბრიდან დავიწყე "ციცინათელაში" სიარული.

–X ფაქტორში როგორ მოხვდი?

–ჩემი მეგობრები, ნათესავები ყოველთვის მეუბნებოდნენ, ბედი მეცადა X ფაქტორში, გივი ლიჩელმაც მირჩია და როდესაც დაიწყო შერჩევა, მივიღე მონაწილეობა, მოვეწონე და მოვხვდი ათეულში. ახლა 4 სკამზეც დავიკავე ადგილი და 2 სკამისთვის ვაგრძელებ ბრძოლას. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ეტაპი იწყება, რისთვისაც თავს და შესაძლებლობებს არ დავზოგავ.

–შენი ერთი დღე როგორია?

–ახლა სულ თბილისში მიწევს ყოფნა, რადგან მთელი დღე რეპეტიცები მაქვს. სიმღერის შერჩევა ვოკალური მონაცემების გათვალისწინებით ხდება. მანანა მორჩილაძე, სოფო ტოროშელიძე და ნინა სუბლატი მამეცადინებენ. ეს მხოლოდ საკონცერტო მზადება არაა, კახეთშიც ვიყავით მენტორთან ერთად, უკეთესად გავეცანით ერთმანეთს.

–კონკურსის დასრულების შემდეგ, რა გეგმები გაქვს?

–რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს ეს კონკურსი, მაინც გავაგრძელებ ჩემს მუსიკალურ კარიერას, რადგან ძალიან დიდი სტიმული და გამოცდილება მივიღე. სიმღერა ისაა, რაც ძალიან მიყვარს და რისი კეთებაც ძალიან მომწონს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გივი ლიჩელს, გვერდში დგომისა და მხარდაჭერისათვის, ყველა ჩემს მეგობარს და თითოეულ ხაშურელს, რომლებიც გაახარა ჩემმა წარმატებამ. ძალიან მინდა, იმედები გავამართლო და ხაშურში გამარჯვებული დავბრუნდე.

ეს პატარა ნინია, თავისი პატარა ოცნებებით, სურვილებით, დიდი მიზნებით. იგი,

ვფიქრობთ, სწორედ იმ გზას ადგას, რომელიც გამარჯვებამდე მიდის.

თ. ჯავახიშვილი

თორნიკე ცაბაცაძე – ევროპის ჩრდილოჩრეთული რეკორდსმენი

ალბათ ბევრს გაუკვირდა საოთაურში გამოტანილი „უცნაურობა“.

საქმე იმაშია, რომ ჩვენი სასპორტო სკოლის აღზრდილმა ძალოსანმა ახლახანს, საქართველოს ჩემპიონატში, ევროპის რეკორდი დააფიქსირა ატაცში – 123კგ.(15 წლიანებში) სამწუხაროდ, ძალოსნობის ევროპის ფედერაციის წესებით, თუ ასეთ ჩემპიონატს არ ესწრება ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენელი, რეკორდი არ ფიქსირდება.

თორნიკე ტაბატაძე ჯერ მხოლოდ 15 წლისაა, მაგრამ უკვე აალაპარაკა სპეციალისტები. წლის დასაწყისში მან სულ „თამაშ-თამაშით“ მოიგო თანატოლებს შორის საქართველოს ჩემპიონატი. ახლა ორი წლით უფროსებშიც იმარჯვა (აკვრა-123კგ. ატაცი-145კგ) შესანიშნავი სპეციალისტის ზაურ ღონდაძის აღზრდილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ამჟამად, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, 20 წლამდე ასაკის ჩემპიონატისათვის ემზადება, რომელიც 20 მაისს გაიმართება თბილისში. მომავალი დიდი ტურნირი კი ევროპის ჩემპიონატი იქნება, რომელიც სექტემბერშია დაგეგმილი და მას პოლონეთი უმასპინძლებს.

ჩვენ გვჯერა თორნიკესი და იმედია, იგი ევროპის ჩემპიონატიდანაც გამარჯვებული დაგვიბრუნდება.

- რაგბი - ფურორი პირველივე ფესტივალზე

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხაშურში რაგბის ბუმია. სპორტის ამ ულამაზეს სახეობას ჩვენს ქალაქში მართლაც იმდენი მიმდევარი ჰყავს, რომ ძნელად, ამ მხრივ, რომელიმე რაიონი გაუტოლდეს. ჭაბუკებში ხაშურის „ლეგიონი“ ამჟამად „ბ“ ლიგის ერთ-ერთი ლიდერია და მას ლიგის ჩემპიონატის გამარჯვებასაც უწინასწარმეტყველებენ. „ლეგიონის“ პატარა თაობა (2004-2005 წლებში დაბადებულები) კი პირდაპირ ფურორს ახდენს და პირველივე ფესტივალზე გაოცებული დატოვა სპეციალისტები. რამაზ ნოზაძის (დამხმარე შალვა ნოზაძე) დამოძღვრილმა პატარა ლეგიონერებმა თბილისში გამართულ ფესტივალზე პირდაპირ „გადაუარეს“ მეტოქეებს და თანაც ისე, რომ ერთი ლელოც არ მიუღიათ. მათ ჯერ თელავის „თელავს“ მოუთავეს ხელი -25:0, შემდეგ თბილისის „ყოჩები“ დატოვეს უშანსოდ – 30:0 და ბოლოს რუსთავის „ხარებას“ ამტვრიეს რქები – 35:0.

ფაქტია, რომ შესანიშნავი თაობა მოდის და მათგან მომავალშივ ველით დიდ წარმატებას.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

აქ ყველაფერი გაგაგიტყვებთ

D

ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30

დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ .

ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კოპწია შენობა, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმყუდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი.

არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადაღლილნი სულის სიმყუდროვეს ვიპოვით, სადაც თბილად

მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაყრდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლდებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს,სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლოგანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები, ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე.

ამ ადგილას!

ამ ადგილას!

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.